



სახალხო გაზეტი

სურათებიანი ჟამათი
გაზეტის № 547

ლაგასტის № 96

კვირა, 11 მარტი 1912 წ.



თუ ვუთარაღა ღრბი დავიჩრდილა ბურჟა სამშობლო. თჳმენი ტახანი გვიხათაგენ მისი წმინდა სახეს.

რუსთაველის ძეგლი
ფერადებით ნახატი, ესკიზი გ. მესხისა.

გამცემი

დრამა 3 მოქმედებად და 2 სურათად.

(შემდეგი *).

სიკო. შენ კარგად იცი, რომ მე არამ თუ დღევანდელ პირობებში, არამედ საზოგადოდ ყოველთვის ვიყავი და ვიქნები ამ გვარ საქმეების წინააღმდეგი... მაგრამ დამიგდე ყური... ნუ თუ შენა გგონია, რომ მე არ ვეცადე დამეჯერებინა ტატე და მისი ამხანაგები და ამ საქმეზე ხელი ამეღებინებინა?... აუხსენი ყოველისფერი, შევებრალე სოფელი... იცი რა მიპასუხეს?... სოფელს არა დაუშავდება... ჩვენ თავათ მივეცემით პოლიციას ხელშიო, ხოლოდ ეს ჩვენი ჯგუფის დადგენილება სისრულეში უნდა მოვიყვანოთ... ბევრი ვეხვეწე, ბევრი ვემუდარე... ჩხუბიც კი მოგვივიდა... რა ძალიან ექომაგები ხულიგანთავადსაო?... გთხოვთ თავი დაგვანებო... ჩვენ სულერთია ამ საქმეზე ხელს არ ავიღებთო და ტყუილად ნუ ირჯებიო... დამემუქრნენ კიდევ, თავი დაგვანებე შენ ცოდოში არ ჩაგვადლო...

შაკ. ეგ სულ ერთია... ყოველგვარი ზომები უნდა ვინმართ და განზრახვაზე უარი ვათქმევინოთ... თუ არა და... მე მზადა ვარ ძალსაც კი მივმართო... ერთი სიტყვით უსათუოდ ხელი უნდა შეუშალოთ...

სიკო. იმ ბიჭებს მე კარგად ვიცნობ... ამაო იქნება იმათთან ლაპარაკი, და თუ მე დამწამეს არჩილისადმი გამოსარჩლება, შენ უფრო პირდაპირ არ გეტყვიან მაგას? არ დაგწამებენ, რომ არჩილი შენი ასე თუ ისე მახლობელია და იმიტომ ჰვარავა?... ჯერ ერთი ეს, მეორეც ისა, რომ სად უნდა ეძებო ისინი... მე რომ აქ წამოვედი, იმათ საითკენაც გასწიეს... სად უნდა ეძებო... დაბურულ ტყე-

ში?... თუ ხვალ საღამოზე დაუხვდები გზაზე, მაშინ მე რა მდგომარეობაში ჩამავდები?... იმათ მე თავის საიდუმლო განზრახვა გამიზიარეს, მენდენენ, დარწმუნებულნი არიან მე არავის დავასმენ და შენ კი მოლალატედ გინდა გამომიყვანო?... მე შენ, არჩილის მახლობელს, მის საწინააღმდეგო შეთქმულება, გადმოგეცი იმიტომ, რომ საქმე მეტად სერიოზულია, მოსალოდნელია მძიმე შედეგები მოჰყვეს და არ შემეძლო არ გამეფთხილებინე, მით უმეტეს რომ დარწმუნებული ვარ, შენ ამ ცნობას ბოროტად ან არა შესაფერად არ გამოიყენებ...


შაკ. მაშ რა ექნათ?... ხელები გულზე დავიკრიფოთ და უცქიროთ შორიდან მაგ საშინელ საქმეს?...

სიკო. მაგაზე მე ბევრი ვიფიქრე... მხოლოდ ეს კი უნდა გითხრა ჩემთვისაც რომ ის ექმნათ, რაც ტატეს უყვეს, მეც შურს ვიძიებდი და სისხლს ავიღებდი... შენ თვალწინ რომ მოხუცი მამა მოგიკლან, ოჯახი გაგინადგურონ, ამას დედის სიკვდილი მოჰყვეს, რომელიც მწუხარებამ თან გადიტანა, განა შენ კი არ გაუსწორდებოდი იმას, ვისი წყალობითაც ეს ყოველისფერი შეგემთხვა?... რა გასაკვირველია რომ ტატე დღეს სისხლს იძიებს?... ამხანაგებიც, რა თქმა უნდა, ამ საქმეში დაეხმარებიან... მაგრამ მე მაინც გეთანხმები, რომ დღევანდელ პირობებში შესაძლოა ამ საქმემ დიდი უბედურობა გამოიწვიოს, და მიუხედავად იმისა რომ არჩილი ღირსია, დასჯისა, ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ, რომ ეს არ მოხდეს... ახლა როგორ უნდა მოვიქცეთ?... არჩილი გავაფრთხილოდ?... რა უფლებით?... და კიდევ რომ გავაფრთხილოდ, საქმე მაინც საბოლოოდ არ მოისპობა... დღეს თუ ხვალ ისინი თავისას ასრულებენ... ისიც არ ვიცი, ჩვენ გაფთხილებას არჩილი როგორ გამოიყენებს?... შეიძლება საქმე საქმით ასრულდეს და ჩვენ კი მოლალატედ გამოვიდეთ...

შაკ. მაშ რა უნდა ექნათ რა?... არ შემიძლიან აგრე დავტოვო საქმე... ვიცოდე და ხელი არ გავანძრიო?... ოხ, სჯო-

* იხ. სურათებიანი დამატება, № 95.

სამხრეთ კოლიუსის აღმოჩენა.



როლანდ ამუნდსენი
(სამხრეთ კოლიუსის აღმოჩენი).

ბდა რომ სულ არ გეთქვა ჩემთვის... არა... არა... უნდა როგორმე უშველოთ... საქმეს...

სიკო. რადიკალური ზომაა საქირო... საქიროა რომ ჯგუფმა თავის დადგენილება გააუქმოს... მაშინ ტატე და მისი ამხანაგები ჯგუფის წინააღმდეგ ვერ წავლენ და დამო-რჩილებიან... მე აქედან პირდაპირ წავალ იქ, სადაც ახ-ლა ჯგუფის ბინა მდებარეობდა... მათ მოთავსეს და ბელადს კარგად ვიცნობ, მისი ნდობა დამსახურებული მაქვს, ის უფრო შეგნებული და განვითარებული კაცია და იმედი მაქვს დავაჯერებ და დავიყოლიებ... რაკი ის დამეთანხმე-ბა ველარავინ ხმას ვერ ამოიღებს და ჯგუფი თავის და-დგენილებას გააუქმებს... საქმე იმაშია, რომ იქ კი და-მიხვდნენ, სადაც მდებარეობდა... ხვალ თორმეტ საათამ-დინ შეგატყობინებ... გადაკრით გეუბნები, თუ კი ვნახე ისინი, დადგენილებას შევაცვლევინებ... შუადღემდისინ თუ ამბავი არ მოგივიდა, იცოდე მე ისინი ვერა ვნახე და მაშინ...

შაქ. მაშინ?..
სიკო. თუ არჩილი ხვალ როგორმე გადაჩნა, სიტყვას გაძლევ რომ მე ვიპოვი მოკლე ხანში იმათ და დადგენილებას შევაცვლევინებ (შემოდის მარიკო).

მარიკო. (შეშინებული, დაბლა ხმით სიკოს) ბიკო, ბიკო! არიქა თავს უშველე... პაქუა აზნაური, აი ბოქაულის მწერალი, ეს არი ახლა აქ იყო: „სიკო თქვენსა ხომ არ არისო? თქვენსა მოდიოდარო“... მე გული გადმომიბრუნ-და... ამ დროულმა დედაკაცმა ტყუილიც კი მოვიგონე, ღმერთო შენ შეგცოდე!.. თქვენი თავი არ მომიკვდება, სიკო რაცხანია თვალითაც არ გვინახავს მეთქი...

სიკო. იმ ჯაშუშის თავი კი რომ მოგიკვდეთ ძრიელ კარგი იქნებოდა...

მარიკო. შორიდან დავინახე: ბოქაული სტრაჟნიკებით აქეთ მოდიოდნენ...

სიკო. ერიპა, მაშ დროა აქედან მოვცოცხო...

მარიკო. აბა ჩქარა, აქ არ მოგასწრონ... (სიკო პალტოს იც-ვამს, მარიკო ჯიბეებს პურითა და სანოვავით უვსებს) აჰა, წაილე, გზაში მოგ შივდება... ბალზე ვაღი, იქ ღობე-ზე გადახტები და ორღობეებით წახვალ... მომიკითხე მა-მაშენი და ჩემს მაგივრად სთხოვე ორიოდე იფნის სახრე ვითავაზოს, აგები ცოტათი მაინც მოგარჯულოს...

სიკო. მაღლობას მოგახსენებთ!.. მოკითხვას უსათუოდ გადაე-ცემ და იფნის სახრის შესახებ კი უკაცრავად... მამაჩემს თქვენი ისეთი პატივისცემა აქვს, რომ თქვენ სურვილს დაუყოვნებლივ ასრულებს და ეგ კი ჩემთვის საზარლო იქნება... აბა მშვიდობით, შაქრო, მაშ აგრე, ხვალ თორ-მეტ საათამდინ შეგატყობინებ... ნათლია ჩემო, ნახვამ-

დის... თამრიკო... შიგ ტუჩებში დამიკოცნეთ და ჩემს მაგივრად სამძიმარი უთხარით ძნის დაწვის შესახებ...

მარ. (ფანჯარაში იხედება) ბიკო, ჩქარა, ჩქარა... აგერ აქეთ წამოვიდნენ... (უჩვენებს სამზარეულოს კარებს) აქეთ გა-დი... (სიკო გავა, მარიკო თან გაჰყვება და მალე ისევ დაბრუნდება. შაქრო უძრავად, გაშტერებული ერთ ალა-გასა სდგას).

მარ. (მიუახლოვდება) ძლივს არ მოვიშორე ი ლაწირაკი... აქ რომ ენახათ, ხათაბალად გავვიხდებოდა... დამიდგა თვალები, შვილო, ხეირიანად პური არც კი შევარგე-ვინ იცის იმ გიჟპაც ყბედობით თავი მოგაბეზრა (დააც-ქერდება) ქა, შვილო, რატო ისე გაშტერებული ხარ?... (მივა ხელს მოავლებს) უიმე, მოგიკვდეს დადა!.. შვილო შენი სულის ჭირიმე, რა ვქნა რა დაგემართა?... მე თვალ-დამდგარმა ხომ არ შეგაშინე?... (ანძრევს შაქრო, ჩემო სიცოცხლე, აბა ერთი ხმა გამეცი... უიმე!..

შაქ. (ხელს გაიქნევს) რა იყო დედა?... მე... კარგადა ვარ... რისა შეგეშინდა?..

მარ. შენ გენაცვალოს დედა-შენი... მე კი გული გამისქდა... რაღაცნაირად იყავი...

შაქ. ცოტა თითქოს თავბრუ დამესხა... ეხლა გაიარა... აღარა მიშავსრა...

მარ. სწორედ ის ჩემი ცოდვით სავსე ყბედობით თავს ავა-ტყიებდა... ეს რამდენიმე დღეა შენ თითქოს გუნებაზე ვერა ხარ... შვილო, იქნება იმ ბნელიანმა ცუდი რამ შე-გატყობინა?... საშიში ხომ არა არის რა?... მითხარი, გე-ნაცვალოს ჩემი თავი... ნუ მიმალავ...

შაქ. არა, არაფერი, დედა... რა უნდა იყოს!.. ჩემთვის საშიში არა არის-რა... წუხელ ცუდად მეძინა... დღეს თავი მტკი-ოდა, ეხლა სისუსტესა ვგრძნობ... აი წამოვწვები და გა-მივიღის... სრულებით კარგად გავხდები...

მარ. მაშ მე ამას ავალავებ და ემანდ დალაღთან მივალ, შენ-თვის სახალათე მინდა გამოვართო... (შაქრო მივა და ტახტზე დაწვება. მარიკო სუფრას აალავებს და გავა. შაქრო ცოტა ხანს წივს, მერე უცბად წამოხტება და სიარულს დაიწყებს. ხან მაგიდას მიუახლოვდება და და-აცქერდება, მერე ისევ დაშორდება. მოუკიდებს პაპი-როზს, ერთი ორჯელ მოსწევს და გადაადგებს. ქუჩის კარს დააკაკუნებენ, ოღნავ გაიღება და თავს შემოპყობს არჩილი. შაქრო შეკრთება).

არჩილი. გაუმარჯოს ჩვენ რომესპიერს!.. აბა მიიღებ სტუმ-რებს, შაქრო!.. (შემოდის, მიბრუნდება უკან და ეძახის-ელენე, მოდი, მოდი... ჩვენი უდაბნოელი შინა ბრძან) დება. (შემოდის ელენე) არ მოგველოდი განა?... თუ მთა მაჰმადთან არ მიდის, მაჰმადი მივა მთასთან. (მიუახლოვ-დება უნდა გადაეხვიოს).

სამხრეთ კოლიუსის აღმოჩენა.



როლანდ ამუნდსენი
და მისი თანამგზავრი ძაღლი.

სამხრეთ კოლიუსის აღმოჩენა.



როლანდ ამუნდსენი

მისი თანამგზავნი და სამხრეთ კოლიუსზე ამართული ბაირალი.

შაკ. (დაშორდება და ხელს გაუშვებს) უკაცრავად... ასე უეცრად... მოულოდნელად (მიუბრუნდება ელენეს) კნიაჟნას ვახლავარ!..

ელენე. კნიაჟნა?!.. გამარჯობათ შაკრო!..

შაკრო. მე... მე... დიდად მოხარული ვახლავართ... და მადლობას მოგახსენებთ... რომ... რომ კეთილ ინებეთ და ჩვენი საწყალი ოჯახი გააბედნიერეთ... ჩემო ბატონებო... გთხოვთ დაბრძანდეთ...

არჩილი. შაკრო, სადაური კილოა?!.. იქნება უდროო მოსვლით შეგაწუხებთ?!.. ველარ მოვითმინე, შენი ნახვა მსურდა... (უკანა კარებიდან შემოდის მარიკო).

მარ. ქა, თქვენი ჰირიმეთ, ბატონიშვილებო!.. რას მოვიფიქრებდი რომ თქვენ ჩვენსკენ მობრძანდებოდით... ემანდ დალალთან ვიყავი, დაგინახეთ და გამოვქანდი, მაგრამ მე რას დავასწრობდით... დაბრძანდით, თქვენი ჰირიმეთ... აი აქეთ ტახტზე. (შაკროს) შვილო, რატო ისე გაშტერებულხარ?!.. არ შეგრცხვია, იმის მაგივრად რომ შენა ჰხლევოდი, აი თავად მობრძანდნენ...

არჩი. ოხ, ჩემო მარიკო, რას ამბობ?!.. მე დიდიხანია მინდოდა მოსვლა და მოვალეობაც ჩემი იყო; მაგრამ ეს ორი დღეა ჩვენ სახლში განუწყვეტელი სტუმრებია და ვერ იქმნა ვერ მოვახერხებ თავისუფალი დრო მეზოვია...

მარ. უი, თქვენი სულის ჰირიმეთ, რა რიგად გაახარეთ თქვენი ბებერი გამდელი!.. შვილო, შაკრო, რა-ვქნა, რატო ისე იქცევი?!.. წარმოიდგინეთ დღეს როგორღაც უქეიფოდა მყავს... წელან ასეთი ცუდად ვახლდათ... გენაცვალეთ და რა გასაკვირველია? დილიდან შუალამემდინ თავი სულ წიგნში ჩაღუნული აქვს... და რა კეთილს დააყრის?!.. შინადან გარედ ფეხს არ იცვლის... არც გართობა, არც ადამიანთან დალაპარაკება, არც ხალხში ვასვლა... თქვენი ჰირიმეთ, ავად ვახდება მარა იქნება...

ელენე. მაგნაირი ცხოვრება შეუძლებელია... რა თქმა უნდა ნერვებიც დასუსტებული ექნება...

არჩი. არა უშავსრა... ახლა ჩვენ გავამხიარულვით.

შაკ. მე ძალიან კარგად ვახლავართ... გთხოვთ ჩემი გულისთვის ნუ რა ფრით ნუ შესწუხდებით... (ელენე და მარიკო ტახტზე სხდებიან. არჩილი სკამზე. შაკრო ისევე სდგას).

მარ. იქნება ჩაის მიირთმევდეთ?!.. სამოვარს ერთ წუთში ავადულდებ...

არჩი. ნუ შესწუხდები, მარიკო... ეს არი ეხლა ვისადილეთ და ცოტა ხნით შემოვიარეთ... დედა გველის...

მარ. (აჩვენებს ელენეს სახალათეს) აბა, შენი სულის ჰირიმე, როგორ მოგწონს? შაკროსთვის სახალათედ გამოვართვი... არც ისე ძვირია...

ელენე. მშვენიერი რამ არის...

შაკ. (ელენეს) დიახ, დიახ... მშვენიერი რამ არის... არც ისე ძვირია!.. როგორა გგონიათ, კნიაჟნა, მომიხდება, არა?!.. მაინც, მაინც?!.. როგორა გგონიათ?!.. დედა, დედა!.. შენი შეუგნებლობა არღვევს შენს დანაშაულს!..

მარ. შვილო, რას ამბობ, რასა?!.. უი, დამიდგა მე თვალეგი, სწორედ გამიცხელა... ნამდვილად ავად გამიხდა, მე უბედურსა...

არჩი. (აღება, მივა შაკროსთან, გაუყრის ხელი-ხელს) იქნება, შაკრო. მართლა უქეიფოდა ხარ და ჩვენ კი გაწუხებთ?!.. წავალთ... მხოლოდ სიტყვა უნდა მოგვცე რომ ჩვენსა მოხვალ...

შაკ. მე კარგადა ვარ... დაბძანდით... ცოტა მაინც ვილაპარაკოთ... ეს გამივილის... ამ ბოლო დროს თავბრუსხვევა დამჩემდა... აი გამიარა...

ელენე. რაც მე მახსოვს, თქვენი ავადმყოფობა არ გამიგონია... ჯანმრთელობით განთქმული იყავით...

მარ. ი-ი გენაცვალეთ... დარდი, დარდი... ხომ იცი, შენი ჰირიმე, რა დღეში ვართ... არ საით ხსნა არა სჩანს...

შაკ. ვის რაში უნდა აინტერესებდეს, დედა, ჩვენი შინაური საქმეები?!.. მაგაზე ლაპარაკი სულ მეტია...

არჩი. მგონია ჩვენ არც ისე უცხონი ვართ... მაგრამ მაგაზე მერე... ახლა მე მინდა, ჩემო შაკრო, გამოვარკვიო, რა არის მიზეზი შენი ჩვენგან დაშორებისა?!.. ამოდენი ხნის ერთობა და მეგობრობა აგრე უცბად და ამასთან უმიზეზოდ როგორ უნდა მოისპოს?!.. შენ და მარიკოს ჩვენი ოჯახის წევრებად ვსთვლით... მგონია ამ ორის წლის განმავლობაში ჩვენში ისეთი არა მომხდარა-რა, რომ აგრე პირი შეგვიბრუნო და ყოველგვარი კავშირი შესწყვიტო ჩვენთან...

მარ. უი შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი!.. აი აგრე დაარიგე, აგრე... სხვა არა იყოს, რა, გენაცვალეთ, დარდისგან დამიქლექდება...

არჩი. შაკრო, მე კარგად მესმის, ჩვენ სხვა და სხვა მიმართულებას მივსდევთ, საზოგადო საქმეებზე სხვა და სხვა შეხედულობა გვაქვს... მაგრამ განა არ შეიძლება რომ მაინცა და მაინც მეგობრული განწყობილება სუფევდეს ჩვენ შორის?!.. შენ კარგად იცი, მე არ ვეკუთვნი უკიდურეს წრეს... კაცის მქამლობას და უსაზღვრო ექსპლოატატორობას არ ვეწევი და, გარწმუნებ, არც მომავალში გავწევი, მართალია მსხვილი მემამულე ვარ, მაგრამ ეს ცოდვად არ მიმანია... ამასაც კი გეტყვი, რომ ჩემს კანონიერ საკუთრებას ყოველთვის დავიცავ, ძალ-მომრეობას ძალას დაუბრუნებ... მაგრამ მე მშრომელი გლეხი მიყვარს და მზადა ვარ რაც კი შეიძლება, ზომიერ ფარგალში, დაუთმო და დავეხმარო კიდევ... ისიც კარგად იცი რომ მე ყოველთვის აზრის თავისუფლების მომხრე ვარ და სხვისა მიმართულებას, სხვისა შეხედულებას გინდ იგი ჩემი წინააღმდეგი იყოს, მე პატივსა ვცემ...

შაკ. (ცოტათი დაშორდება) არჩილ! სჯობს აქვე და ახლავე ნათლად აღვიაროთ ჩვენ ჩვენი ვინაობა, რომ შემდეგში განმეორება აღარ დაგვკირდეს... ის, რაც ამ ორის წლის განმავლობაში მოხდა შენ თავად კარგად დავარწმუნებდა, რომ ჩვენ შორის საერთო არა ყოფილა რა არა დროს და ვერც იქნება როდისმე... ნუ კი გეწყინება, ხომ იცი მე პირში მთქმელი ვარ... მართალია მე ბევრნაირად ვარ თქვენ მიერ დავალებული...

არჩი. მაგას თავი დავანებოთ... თუ ცოტათი მაინც ჩემი პატივისცემა გაქვს, თუ არ დავიწყებია ჩვენი მეგობრობა და

ჩინეთის რესპუბლიკა.



სასახლე, სადაც მოთავსებულია ჩინეთის „ეროვნული კრება“.

წინანდელი ერთობა, მოვალეობას თავი დავანებოთ... იმედი მაქვს შენ იმ ბრალს ვერ დამდებ, რომ როდისმე შენთვის შეგრძნობინებინოს...

შაქ. მე თავად ვგრძნობდი... შენ მთელ შენ სიცოცხლეში დამოუკიდებელი იყავი, ერთ წუთსაც კი არ გიგრძენია ის, რასაც მე დაბადების უმალ აქნობამდის ვგრძნობდი... მაგრამ კარგი, დავანებოთ ამას თავი... მე კიდევ ვიმეორებ: რაც ამ ორის წლის განმავლობაში მოხდა უარყოფის ჩვენ შორის რაიმე კავშირს... მე იმ მიმართულებას ვემსახურები, რომელიც დღეს მოითხოვს ადამიანისგან მთელს მის სხეულს, გონებას, სინიღისს, გრძობას, ერთი სიტყვით მოითხოვს ადამიანს სავსებით, მთელს მის პიროვნებას... მას უნდა ანაცვალოს კაცმა, თუ კი გარემოება მოითხოვს, მშობლებიც, მახლობელი, მეგობარი, ცოლი, შვილი, ოჯახი...

მარ. აქი ანაცვალე კიდევ... ერთი რა მოგართო სამაგიეროდ მაგ მიმართულებამ, თუ რაღაც ეშმაკია...]

შაქ. დაიცა, დედა... არჩილ, შენ მეტყუი ვგ ფანატიკოსობა... დიან, დღეს ჩვენი საქმე ფანატიკოსობას მოითხოვს. არავითარ კომპრომისს, არავითარ თანდათანობას დღეს ჩვენში ადგილი არა აქვს... იდეურ ბრძოლის დროს ადამიანი სავსებით, ძველია და ხორციით გაჟღენთილი უნდა იყოს იდეით, და თავისუფალი ყოველგვარ დაბრკოლებიდან...

არჩ. ვსთქვით ვე ყოველისფერი მართალია, მხოლოდ იმასაც კი გეტყვით რომ მე ვერ შემიგნია ის მიმართულება, რომელიც ვითომდა ცხოვრების გასაუმჯობესებლად აგრე უზომოდ ამონებს და სჩაგრავს პიროვნებას... მაგრამ მაინც თუნდ ვე აგრეც იყოს, რას დაუშლის ამას, რომ ჩვენში კეთილი და მეგობრული განწყობილება სუფევდეს, როგორც წინადაც იყო?... მგონია აქ კონფლიქტი შენს მისწრაფებასთან მოსალოდნელი არ არის.

შაქ. ძრიელ ადვილად... ამ ორის წლის წინად შენ კარგად იცი რაც მოხდა... ხალხი განსაზღვრულ გზას დაადგა... შეიგნო თავის მდგომარეობა... შეიტყო ვინ არის ნამდვილი მისი მტერი... მე ხალხის შვილი ვარ, მეც შევიგნე სად იყო ჩემი ალაგი... მეც მებრძოლთა რიგში ჩავდექი... შენ კი?..

არჩ. მე მტრის ბანაკში ვიმყოფები არა?..

შაქ. შენ თავად სთქვი... მაგრამ შენ არამ თუ იმყოფები, შენ იერიშიც კი მოიტანე ჩვენზე... ჩვენ დაუპირდაპირდით ერთმანეთს... ჩვენ შუა განუვლელი უფსკრული გასქდა... საზღვარი დაიღო... რა უნდა იყოს ახლა ჩვენი დამეგობრება, ჩვენ შორის ერთობა?... რა მდგომარეობაში ჩავდგები მე?... შენ თითონ გაზომე და გაარჩიე... განა ყოველ წუთს, ყოველ ნაბიჯზე წინ არ ავგეტუზება ის, რასაც იქნება სიტყვით არ ვიტყვით, და გულში კი გვექნება?... რა მეგობრობა, რა ერთობა შეიძლება ამ გვარ პირობებში?... დიან, კიდევაც ვიტყვი თქვენ მიერ ბევრით დავალებული ვიყავი და ზურგზე მძიმე ზნეობრივი მოვალეობა მედო, ხელ-ფეხი ბორკილით მქონდა შებოქილი... თქვენი მოვალე ვიყავი და ეს მაჩერებდა იქ, სადაც ჩემი მიმართულება და რწმენა მოითხოვდა ენერგიულ მოქმედებას... იმ უბედურობამ, რომელიც აქ მოხდა, შენ რასაკვირველია მიხვდები რაზედაც ვამბობ, ამ ზნეობრივ მოვალეობისგან გამანთავისუფლა... ის წვრილი ბაწარიც კი, რომელიც ჩვენ შუა გაბმული იყო, გაწყდა და ხელ-ახლად მისი შეკვრა შეუძლებელია...

მარ. ნეტავი რას მიედ მოედები, შვილო, ახლა ასე ვიტყვი... მადლობის მაგიერია?... გენაცვალეთ დავილუბე, სწორედ ავად გამოხდა...

არჩ. (შაქროს) და ბოლოს, როგორც მიხვდი, ის უბედური შემთხვევა მიზეზი ჩვენი დაშორებისა... და ახლა მე გთხოვ... და მგონია ნებაცა მაქვს, როგორც ბრალდებულს, ვიმართლო თავი... მე გთხოვ ახლა მოხვიდე ჩემთან არა როგორც მეგობარი, არამედ როგორც ბრალმდებელი და განახილო გასამართლებელი საბუთები... ის შემთხვევა, რომელიც აქ მოხდა, ვითომ და ჩემი მიზეზით, ჩემთვის უსაზღვროდ სამწუხაროა... მე დაგიმტკიცებ უტყუარ საბუთებით, რომ მე არა ვარ იმდენად დამნაშავე, როგორც შენა გგონია... თუ ბრალსა მდებ-

კიდევ უნდა გამასამართლო... გასინჯე საქმე და თუ გამამტყუნებ, მაშინ ისე მომეპყარი, როგორც საჭიროდ დაინახავ... მე სწორედ შენი იმედი მქონდა და მაქვს კიდევ, რომ მიშველი ამ მძიმე ბრალდებისგან თავი დავიხსნა... მართალია მე კანონიერს გზას მივმართე და ყოველთვისაც მივმართავ, როდესაც სხვა საშუალება არ გასჭრის... მაგრამ ჩემის აზრით საქმის გარემოება მაშინ იმ გვარ სასტიკ ზომებს არ მოითხოვდა, რომლებიც იხმარეს... ეს კი ადმინისტრაციის საქმეა და არა ჩემი... ჩემი ბრალი არ არის, ამას იმედი მაქვს, დაგიმტკიცებ...

ელენე. (მიუახლოვდება შაქროს) არჩილის თხოვნას მეც ჩემის მხრივ დაუმატებ და გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენსა... მე მსურს ის საშინელი საქმე ნათლად გამოირკვეს... თქვენ კარგად იცით რა მძიმე ტვირთად დაგვედო ის უბედურობა და ვგონებ სამართლიანობას! მიჰმართავთ და გაგვანთავისუფლებთ საშინელ ბრალდებისგან... გეხვეწებით, მოდით ჩვენსა და გვიშველეთ...

მარ. თქვენი ქირიმეთ, რა ბევრი ლაპარაკი უნდა?... მოვა... არც კი შერცხვება რომ არ მოვიდეს?... გენაცვალეთ ამოდენი ხვეწნის და მუდარის შემდეგ, ქვა ხომ არ არის, რომ არ მოვიდეს!..

შაქ. (ცოტა დაფიქრების მერე) მოვალ... მოვალ!.. გიახლებით... უსათუოდ ხვალ საღამოზე გიახლებით!..

არჩ. იქნება დილით როგორმე მოახერხო, თორემ საღამოთი შინ არ ვიქნები...

შაქ. უკაცრავად... დღისით არა მცალიან...

მარ. ნეტავი რა ცალი გკილია?..

შაქ. დღისით არ შემიძლიან... საღამოთი უსათუოდ მოვალ... უსათუოდ!..

არჩ. არ ვიცი რა ვქნა?... საღამოზე ბიძა ჩემ ასლანთან ჩვენ თავად-აზნაურობას კრება აქვს არჩევნების შესახებ და უსათუოდ უნდა დავესწრო...

შაქ. ნუ წახვალ კრებაზე... ან... ან კრება გადაადებინეთ... თორემ... თორემ... სხვა დროს მე ვეღარ მოვალ... მისწერეთ ბოდიში, ავადმყოფობა მომიბიწხეთ... ერთი სიტყვით... ხვალ საღამოზე მე თქვენსა უნდა ვიყო... მეც ძრიელ საჭირო საქმე მაქვს თქვენთან...

არჩ. კრების გადადება შეუძლებელია... მარშალი საგანგებოდ მოდის... მარტო არჩევნების საქმე რომ იყოს შემეძლო არ წავსულიყავ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ბიძაჩემს ასლანს განზრახვა აქვს დაიყოლიოს თავად-აზნაურობა და თხოვნით ლუბერნატორს მიმართონ, რათა სასტიკი ზომები მიიღოს სოფლის წინააღმდეგ, რადგანაც, როგორც გაიგებდი, ასლანს ძნა დაუწვეს... მინდა ამ განზრახვის აღსრულებას ხელი შეუშალო... არ შეიძლება არ დავესწრო კრებას...]

მარ. (შაქროს) შვილო, მე შენი სულაც ვეღარა გამოვიარა... ჯერ სულ უარზე იყავი ამათთან მისვლაზე, ახლა იმას იძახი გინდა თუ არა ხვალ საღამოზე მოვალო... სადაურად იქცევი?..

ელენე. (არჩილს) იქნება როგორმე მოხერხდეს?... რაღა სწორედ ახლა მოუნდათ კრების მოწვევა...

არჩ. ძრიელ ვეცდები, როგორმე მოვახერხო, მაგრამ იმედი კი არა მაქვს კრების გადადებისა... ყოველ შემთხვევაში, ხვალ დილაზე, შეგატყობინებ, შაქრო... აბა, ელენე, ახლა კი დროა შინისკენ, თორემ დედა გვიცდის... ნახვამდის, შაქრო! (ხელს ჩამოართმევს) მშვიდობით მარიკო (აკოცებს. ელენე მარიკოს აკოცებს და შაქროს ხელს ართმევს).

ელენე. (შაქროს) მაშ ხვალ საღამოზე გელით... მგონია კრების გადადება მოვახერხოთ...

შაქ. დიდად... დამავალებთ...

ელენე. არა, არა... ეგ სიტყვა ნუ იქნება... თქვენ ძალიან გაშინებთ... (არჩილი, ელენე და მარიკო გავლენ. შაქრო მივა და სარკმლიდან უტკერის, მერე მობრუნდება, ხელს თმაში წაივლებს).

ი. გედევანიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ფ ა რ დ ა .